განაფული კითხვის უნარის გაუმჯობესება მე-3 კლასში

საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის

ანგარიში

სსიპ ქ.ქარელის N2 საჯრო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი

მარეხი მოსიაშვილი

2018-2019 სასწავლო
წელი

სარჩევი

შესავალი----------2

თავი I საკვლევი თემა

1.1 თემის აქტუალობა---------- 2 1.2 კვლევის მიზანი----------4 1.3 საკვლევი კითხვა და ქვეკითხვები---------- 4

თავი II ლიტერატურის მიმოხილვა----------5

თავი III კვლევის მეთოდოლოგია----------

3.1 საკვლევი საკითხის შეწავლა----------12

3.2 კვლევის მეთოდები----------13

3.3 მონაცემთა ანალიზი----------13

3.4 მიგნებები----------17

თავი IV-ინტერვენციების დაგეგმვა და განხორციელება----------18

თავიV-ინტერვენციების შედეგების შეფასება----------21

თავი VI დასკვნა, რეკომენდაციები----------24

თავიVII გამოყენებული ლიტერატურა----------25

დანართები----------26

რეფლექსია----------33

შესავალი

წინამდებარე კვლევის ანგარიში წარმოადგენს ჩემ მიერ განხორვიელებულ კვლევას, რომელიც ჩავატარე ქარელის N2 საჯარო სკოლაში. აღნიშნულ სკოლაში ვმუშაობ 2014 წლიდან და ვასწავლი დაწყებით კლასებს.

საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის თემად შევარჩიე ერთ-ერთი აქტუალური საკითხი განაფული კითხვის უნარისს გაუმჯობესება, რომელიც გამომდინარეობს ჩემი პედაგოგიური პრაქტიკიდან.

ნაშრომი შედგება შვიდი თავისგან.პირველ თავში განვიხილე თემის აქტუალობა, მოვახდინე სიტუაციის ანალიზი ჩამოვაყალიბე კვლევის მიზანი, საკვლევი კითხვა და ქვეკითხვები.

მეორე თავში მიმოვიხილე და გავაანალიზე ის ლიტერატურა, რომელიც დამეხმარებოდა კვლევის განხორციელებისას.

მესამე თავში მოვახდინე საკვლევი საკითხის შეწავლა,იმისათვის, რომ პასუხი გამეცა მთავარი და ქვეკითხვებისთვის .შევარჩიე კვლევის მეთოდები. შემდეგ მოვახდინე მონაცემთა ანალიზი, რის საფუძველზეც გამოვკვეთე მიგნებები.

მეოთხე თავში აღვწერე, თუ როგორ დავგეგმე და განვახორციელე ინტერვენციები.

მეხუთე თავში შევაფასე ინტერვენციების შედეგად მიღებული შედეგები.

მეექვსე თავში შევაჯამე მიღებული შედეგები და მათგან გამომდინარე დაკვნა, რის საფუძველეც ჩამოვაყალიბე რეკომენდაციები.

მეშვიდე თავში მოვათავსე გამოყენებული ლიტერატუარა.

1.1 თემის აქტუალობა

დაწყებით საფეხურზე შეძენილ უნარებს შორის მნიშვნელოვანია კითხვი უნარი. სწორედ კითხვის უნარის კარგად განვითარე არის სწავლაში მოსწავლის შემდგომი წარმატების წინაპირობა.ამიტომ სასკოლო განათლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი მოსწავლეთა წიგნიერების განვითარების ხელეწყობაა.ეროვნულ სასწავო გეგმის მიხედვით წიგნიერება არის -,,კითხვის,წერის , ინფორმაციის დამუშავების, იდეებისა და მოაზრებების გამოთქმის,გადაწყვეტილების მიღებისა და პრობლემების მოგვარების უნარი ,იმ ცოდნის საფუძველზე, რომელსაც ადამიანი მთელი ცხოვრების განმავლობაში იძენს."(ესგ პუნქტი I)

წიგნიერება ეხმარება ადამიანს ცხოვრებისეული პრობლემების გადაჭრაში, წიგნიერება პიროვნული განვითარების, თვითგამოხატვისა და თვითდამკვიდრების საშუალებაა. მოსწავლის

წიგნიერ ადამიანად ჩამოყალიბების ერთ-ერთი წინა პირობაა გაწაფული კითხვის დაუფლება. კვლევების შედეგად დასტურდება, რომ წიგნიერი უნარ-ჩვევების მფლობელი მოსწავლეები სწრაფად და ხარისხიანად სწავლობენ არა მხოლოდ მშობლიურ ენას და ლიტერატურას არამედ, საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნებს. სწავლების გზაზე მასწავლებლის მიზანია, მოსწავლე აქტიურ მკითხველად ჩამოყალიბდეს.ასევე ღსანიშნავია, რომ კითხვა პრაქტიკის შედეგად ვითარდება, რაც მეტს კითხულობენ ბავშვები, მით მეტიად უმუშავდებათ კითხვის უნარ- ჩვევები და ეს კი წარმოადგენ წინაპირობას იმისას, რომ მოსწავლე ჩამოყალიბდეს გაწაფულ მკითხველად.

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით (ქართ.დაწყ.(I).6.) მოსწავლემ უნდა შეძლოს გაწაფულად კითხვა

➢ თავისუფლად კითხულობს ნაცნობ და უცნობ სიტყვებს, ცდილობს დაიცვას სათანადო ტემპი; ➢ ხმამაღლა, თავისუფლად კითხულობს მასწავლებლის მიერ მითითებულ ეპიზოდს, მცირე

ზომის ტექსტებს; ➢ ხმამაღლა კითხვისას იცავს პაუზას სასვენ ნიშნებთან. ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა

(დაწყებითი საფეხური) 2018-2024.

სწორედ დაწყებით კლასებში ხდება კითხვის ტექნიკის დაუფლება. მოსწავლე კითხულობს იმიტომ, რომ ისწავლოს.კითხვის უნარი კი უშუალო კავშირშია ბავშვის აზროვნების განვითარებაში.კითხვის დროს ხდება მხატვრული გემოვნების ჩამოყალიბებაც. ,,მოსწავლეები,

რომლებიც მეოთხე კლასამდე სათანადოდ არ განუვითარდათ კითხვის უნარი-ჩვევები, უჭირთ ამ უნარების გამომუშავება შემდგომ კლასებში“. (კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე G-PRIED 2015წ.).

წიგნიერების საერთაშორისო კვლევა(PIRLS) ხუთ წელიწადში ერთხელ ტარდება და საშუალებას იძლევა, პროგრესის შეფაების, თუმცა შედეგი დამაკმაყოფილებელი არ არის. მოსწავლეთა კითხვის უნარის საერთაშორისო შეფასების პროგრამის მონაცემების მიხედვით,ქართველი მოსწავლეები სათანადო შედეგებს ვერ აღწევენ.2016 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით ქართველი მე-4 კლასელი მოსწავლეების მაჩვენებელი არ გაუმჯობესებულა და იგივე ქულა ავს ქვეყანას რაც ხუთი წლის წინ ჰქონდა.

კომპიუტერული ტექნოლოგიები ეპოქაში მოსწავლეები ჩამოშორდნენ წიგნს, ,,ამერიკელ პედიატრთა ასოციაციის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, ბავშვები დღის განმავლობაში 7 საათს ატარებენ კომპიუტერთან, ტელევიზორთან, სმარტფონთან და სხვა.“ http://qartuliazri.reportiori.ge/inside.php?menuid=67&id=15451.

ეს ფაქტი კიდევ უფრო ცხადყოფს, ამ კუთხით კიდევ უფრო მიზანმიმართული მუშაობაა საჭირო, რომ მოსწავლე დავუბრუნოთ წიგნს, რაც პირველ რიგში გაწაფული კითხვის უნარის განვითარებით უნდა დავიწყოთ. რადგან გაწაფული მკითხველისთვის კითხვა სასიამოვნო და

საინტერესო პროცესი ხდება.ამ საქმეში კი განუზომელია დაწყებითი კლასის მასწავლებლის როლი, მან უნდა შეძლოს კითხვის უნარის განვითარებაში დაეხმაროს თითოეულ მოსწავლეს.

ვფიქრობ საკითხი მეტად აქტუალურია. ყურადსაღები და დასაფიქრებელია ეს ყოველივე და მნიშვნელოვანია თითოეულმა მასწავლებელმა გაანალიზოს საკუთარი როლი მოსწავლეთათვის ამ უნარების განვითარებაში.ჩემი აზრიტთ ყველა მასწავლებელი უნდა იყოს მკვლევარი. მან უნდა შეძლოს საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის დაკვირვების საფუძველზე პრობლემის იდენტიფიცირება, მამომწვევი მიზეზების დადგენა და გადაჭრის გზების ძიება.

1.2 კვლევის მიზნი

გავარკვიო, დაწყებით საფეხურზე,(კერძოდ მე-3 კლასში) გაწაფული კითხვის უნარის განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემის მიზეზები, შევიმუშავო შესაბამისი ინტერაქციები რათა დაწყებით საფეხურზევე შევუწყო ხელი წიგნიერების განვითარებას.

მნიშვნელოვანია კვლევის ფარგლებში გავაანალიზო რა ფაქტორები ახდენს გავლენას გაწაფული კითხვის უნარის განვითარების შეფერხებაში.გამოვყო და დავადგინო თითოეულ მოსწავლეში ამის გამომწვევი მიზეზი.დავგეგმო დ განვახორციელო ინტერვენციები და შევაფასო მიღებული შედეგები.

1.3 საკვლევი კითხვა: რატომ უჭირთ მესამე კლასელებს გაწაფული კითხვა?

ქვეკითხვები:

- რა ფაქტორები განაპირობებს გაწაფული კითხვის უნარის განვითარებას?
- აქვს თუ არა მოსწავლეს კითხვის უნარის დარღვევა?
- რა მნიშვნელობა ენიჭება შერჩეულ ტექსტებს ამ უნარის განვითარებაში?
- სთავაზობს თუ არა მასწავლებელი მოსწავლეებს საინტერესო აქტივობებს ამ უნარის განვითარებისთვის?
- რომელია ის ეფექტური სტრატეგიები, რომლებიც დაეხმარება მასწავლებელს კვლევის სამიზნე მოსწავლესთან კითხვაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრაში, მის განვითარებაში?
- რა ხერხებითა და მეთოდებით ზრუნავს მასწავლებელი მოსწავლეებში მოსწავლეებში კითხვის მოტივაციის ამაღლებას?
- რამდენად ეხმარება მშობელი მოსწავლეს, გააცნობიეროს კითხვის უნარი პიროვნულ განვითარებაში?
- რა დროს უთმობს მოსწავლე კითხვას?
- რა დროს უთმობს მოსწავლე კომპიუტერს?
- კითხულობს თუ არა მშობელი შვილთან ერთად?

თავი II ლიტერატურის მიმოხილვა

კვლევის დაწყებამდე, გამოვკვეთე რა საკვლევი საკითხი, წავიკითხე და გავაანალიზე ლიტერატურა , რომელიც დამეხმარებოდაა არსებული პრობლემის გამოვლებაში და გადაჭრის გზების ძიებაში.ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო, პირველ რიგში გამეანალიზებინა რა არის გაწაფული/გამართული კითხვა და რატომ არის იგი მნიშვნელოვანი. როგორც მაია ინასარიძე აღნიშნავს თავის ინტერნეტ სტატიაში: ,,კითხვა ერთიანი პროცესია, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა საერთო განვითარებას და რომლის დახასიათება შეიძლება სამი ასპექტის მიხედვით : 1.კითხვა არ ნიშნავს ცალკეული ასოების, მარცვლების, სიტყვების ან ცალკეული წინადადებების და ფრაზების ამოკითხვას. კითხვა , როგორც სასწავლო ქმედება, აქტი, ხორციელდება მაშინ, როცა ყველა ემოთ ჩამოთვლილი ელემენტის წაკითხვის უნარ-ჩვევა ერთიანდება მთლიანი ტექსტის

გასაგებად. 2.კითხვა ხანგრძლივი პრაქტიკის შედეგია. მხოლოდმუდმივი ვარჯიშის შემდეგ უვითარდება მოსწავლეს გააზრებული და დამოუკიდებელი კითხვის უნარ-ჩვევა. 3.კითხვა კომპლექსური პროცესია, საუბარია მკითხველსა და ავტორს შორის. სოციალური აქტია, რომელიც ფიქრსა და თანამონაწილეობას მოითხოვს. კითხვა ყოვეტვის გულიხმობს ინტერპრეტაციას, რომელსაც წინ უძღვის გაგების პროცესი: წაკითხულის გაგების ხარისხი კი დამოკიდებულია მკითხველის მომზადების დონეზე.კითხვის მიზანსა და წასაკითხი ტექსტის შინაარსზე." პედაგოგი კითხვის სწავლების ისეთ სტრატეგიებს უნდა იყენებდეს, რომლებიც მოსწავლეს სამყაროს შესახებ არსებული ცოდნის გააქტიურებასა და გამოყენებაში დაეხმარება. იმავდროულად ის ასწავლის მოსწავლეებს, როგორ განსაზღვრონ კითხვის მიზანი(რისთვის წაიკითხონ)როგორ შეარჩიონ საკითხავი მასალა (შინაარსი-რა წაიკითხონ)და რა ხერხები და საშუალებები. კითხვის რომელი სტრატეგიები გამოიყენონ (როგორ წაიკითხონ).ყოველივე ეს მიიღწევა,თუ მასწავლებელმა იცის, როგორ მართოს კითხვის პროცესიარა მხოლოდ სახლში არამედ კლასის გარეთაც.ოღონდ ისე, რომ არ ზღუდავდეს მოსწავლის დამოუიდებლობას , არჩევანის თავისუფლებას,მასწავლებელი გზამკვლევია კითხვის უსასრულო და საინტერესო სამყაროში."(,,კითხვის ეფექტიანი მეთოდები".მაია ინასარიძე 18 აპრილი.2013წელი).

კითხვა ისეთი პროცეია, რომლის საწავლა სკოლაში აუცილებელია მიზანმიმართული მეცადინეობით ხორციელდებოდეს.კითხვის დასწავლის პროცესი გულისხმობს ასოების ამოცნობას და მათ ფონემასთან დაკავშირებას.;ფონემების ბგერებად გაერთიანებას, ხოლო ბგერების სიტყვებად გამთლიანებას.; დაბოლოს იმისათვის,რომ მოსწავლემ სიტყვის ამოკთხვის საჭიროა სიტყვის ცნობა და მისი მნიშვნელობის გაგება.წინადადებების წაკითხვისას ,კი საჭიროა ამიკოთხული სიტყვების მეხსიერებაში შენახვა, დანარჩენ ამოკითხულ სიტყვებთან დაკავშირება

და მთელი წინადადების შინაარსის წვდომა.არიან ბავშვები, რომლებიცკითხვის სწავლისას მნიშვნელოვან სიძნელეეს განიცდიან. ამ სიძნელეენმა შესაძლოა თავი იჩინოს კითხვის სწავლების ნებისმიერ ეტაპზე.მოსწავლეს სიძნელე შეიძლება შეექმნას, როგორც ასოების ცნობის დასწავლისას, ასევე ასოების ბგერებად გაერთიანებისას, ან ბგერების სიტყვებად გამთლიანებისას.

შესაბამისად კითხვის უნარის დარღვევას სხვადასხა მოსწავლეებთან სხვადასხვა მახასიათებელი გააჩნია. კერძოდ:

ასოების ამოცნობის პროცესის გახანგრძლივება

ასოების ერთმანეთში არევა------ამ დროს მოსწავლე ხშირად უშვებს შეცდომებს კითხვისას ასოების არასწორი დასახელების გამო. უმეტესად ეს შეცდომა ასოების მსგავსი მოყვანილობით არის გამოწვეული(მიუხედავდ განსხვავებული სივრცითი მახასიათებლებისა: ძ-ხ,წ-შ და ა.შ.)ამ შემთხვევაში მოსწავლე ნაცვლად სიტყვისა ,,ხახვი"წაიკითხვას-,,ძახვი".ასევე ხშირია სრულიად განსხვავებული

ასოების არევის შემთხვევები. მოსწავლეს შეიძლება აერიოს,,ა“ და ,,ი“ ასოებიც.

ბგერების გადანაცვლება----სიტყვის ამოკითხვისას, ადგილი აქვს მოსწავლის მიერ სიტყვაში ბგერების გადანაცვლებას.ან მოკლე სიტყვების უკუღმა ამოკითხვას.(ცა-აც, და-ად,და ა.შ.)

ასოების სიტყვებად გამთლიანების სირთულე----ხშირად მოსწავლეს ასოების ამოკითხვა შეუძლია მაგრამ უჭირს ასოების სიტყვებად გაერთიანება.

მიხვედრით კითხვა----კითხვისას შეცდომები გამოწვეულია მიხვედრით კითხვის გამო, რომლის დროსაც, მოსწავლე სიტყვის პირველ ბგერებს , ხოლო დანარჩნს მიხვედრით აბოლოებს,ან ტოვებს სიტყვის დაბოლოებებს.

სიტყვების შინაარსის წვდომის სირთულე- როდესაც მოსწავლეს უჭირს წაკითხული სიტყვების შინაარსის აღქმა.

წინადადების ტექსტის წვდომის სირთულე---- ასეთ შემთხვევაში მოსწავლე კითხულობს სიტყვებს მაგრამ უჭირს წინადადებების შინაარსი წვდომა.

კითხვის პროსოდიკის (ინტონაციის) დარღვევა---მოსწავლე კითხულობს არასწორი ინტონაციით არ იცავს სასვენ ნიშნებს წინადადებაში.

ტერმინი დისლექსია ნიშნავს კითხვის უნარის დარღვევას. თუმცა ზოგიერთი მკვლევარი აღნიშნავს, რომ არსებობს კითხვის უნარის დარღვევის მრავალი სახეობა,რომელთაგან დისლექსია ერთ-ერთია.კითხვის უნარის დარღვევა ხშირია სწავლის სირთულეების მქონე მოსწვლეებთან,რომლებსაც აღენიშნებათ სხვა აკადემიური უნარების დარღვევა.(კითხვის ეფექტური მეთოდები I ნაწილი).

როგორც დაწყებითი განათლების პროექტ G-PRIED სასწავლო-მეთოლოგიური რესურსების კრებულშია აღწერილი, გაწაფულობა/გამართულობა ეფექტური კითხვის მნიშვნელოვანი ასპქტია. გაწაფული მკითხველი :

ა) უშეცდომოდ (სწორად) და ავტომატურად (ძალისხმევის გარეშე, მყისიერად) კითხულობს სიტყვებს,

ბ) კითხულობს ასაკის შესაფერისი ტემპით.

გ) კითხულობს გამომეტყველებით, (ხმის ტონი მახვილები პაუზები,ინტონაცია)

დ) კითხულობს ფრაზებად, (სიტყვების დაჯგუფება) და სასვენი ნიშნების გათვალისწინებით.

გაწაფული კითხვა წარმოადგენს ხიდს სიტყვების ამოცნობასა და წაკითხული წინადადებების გაგებას შორის. გაწაფული კითხვის საბაზისო ინდიკატორებია ტექსტში სიტყვების ავტომატურად ამოცნობა და გადაბმა, ასევე უცნობი სიტყვების დეკოდირება.

გაწაფული კითხვა არ არის გააზრების გარანტი, მაგრამ გაგება რთულდება გაწაფული კითხვის გარეშე. თუ მოსწავლე ფერხდება უცნობი სიტყვების დეკოდირებისას გააზრება ფერხდება და კითხვის პროცესი ხანგრძლივ დამღლელ აქტივობად გადაიქცევა. მას შემდეგ რაც მკითხველი კითხვის ტექნიკურ მხარეს გაწაფავს, ენერგიას გააზრების ისეთ სტრატეგიებზე მიმართავს,როგორიცაა: ანალიზი, ჩაძიება, დასკვნების გამოტანა,შეკითხვების დასმა.

გაწაფულ კითხვას ძირითადად ზომავენ წუთში სწორად წაკითხული კითხვების რაიდენობით. არსებობს სპეციალური ცხრილები, რომლებშიც მოცემულია დადგენილი ნორმები კლასების მიხედვით.

ერონულ სასწავლო გეგმაში მოცემულია, გაწაფული/ გამართული კითხვის შესაბამისი შედეგები და ინდიკატორები.მათი დამარებით, ერთი მხრივ იგეგმება სასწავლო პროცესი, მეორე მხრივ, მოწმდება მოსწავლის მიმდინარე და საბოლოო მიღწევები. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, პირველ კლასში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგი უნარების განვითარებას:

• ასოებისა და ბგერების დაკავშირება და მათი გამთლიანება მარცვლებად და სიტყვებად.

• მარტივი სიტყვებით შედგენილი მცირე ზომის ტექსტის ხმამაღლა(მთლიანი სიტყვებით ან დამარცვლით) წაკითხვა.

• წინადადების ბოლოს პაუზის გაკეთება.

• სხვის მიერ დაწყებული კითხვის სათანადო ადგილიდან გაგრძელება.

მეორე და მესამე კლასში აღნიშნული უნარ ჩვევები ვითარდება და ამას ემატება შემდეგი უნარ ჩვევები: მცირე ზომის ტექსტის წაკითხვა და სავენ ნიშნებთან პაუზის გაკეთება.

კვლავ დიდი მნიშვნელობა ენიჭება წერილობითი კოდის გაშიფვრას უფრო გრძელ, თანხმოვნების კომპლექსით დატვირთულ სტრიქონებში. ამ ფაზის დასრულების შემდეგ მოსწავლე მნიშვნელოვან შედეგს აღწევს: თავისუფლად ცნობს ნაცნობ სიტყვებს, და თანაც ამ ქმედების შერულებას უფრო ნაკლებ დროს ანდომებს.

მე-4 კლასში გაწაფულმა კითხვამ სრულფასოვანი სახე უნდა მიიღოს-ამ ეტაპზე მოსწავლემ

უნდა შეძლოს, კლასის წინაშე სასურველი/შერჩეული ტექსტის ხმამაღლა ინტონაციით წაკითხვა.უნდა შეძლოს სასვენი ნიშნების ფუნქციის შესაბამისად გამოიყენოს ინტონაცია.

გაწაფული /გამართული კითხვის ძირითადი პრინციპები:

გაწაფული /გამართული კითხვის მახასიათებლებისა და ინდიკატორების ექსპლიციტურად გაცნობა მოსწავლეებისათვის

მნიშვნელოვანია მოსწავლეებმა მიიღონ ინფორმაცია და თავადაც შეძლონ მსჯელობა რა არის გაწაფული კითხვა?რა მახასიათებლები აქვს გაწაფულ კითხვას? რა შეუძლია გაწაფულ მკითხველს? რა მიზნებს ვაღწევთ კითხვის გაწაფვის გზაზე?

გაწაფული კითხვის მოდელირება

მნიშვნელოვანია მოსწავლეებმა თვალსაჩინოდ ნახონ როგორია გაწაფული კითხვა.

მოდელის როლს ძირთადან მასწავლებელი ასრულებს, ხშირად მშობელი ან უფროსკლასელები.

ინტენსიური მართული პრაქტიკა ხმამაღლა კითხვაში

მართული პრაქტიკა მიმდინარეობს მასწავლებლის თანაკლსელის ან მშობლის დახმარებით.

შერჩეული ტექსტების გამეორებით კითხვა

კითხვის გაწაფვისთვის ეფექტური საშუალებაა ერთი და იგივე ტექსტის რამდენჯერმე ხმამაღლა წაკითხვა.თავდაპირველად შეირჩევა მოკლე მარტივი ტექსტები, რომლებიც შემდეგ თანდათან რთულდება.

დამოუკიდებელი პრაქსტიკა და პრეზენტაცია

ბავშვებს სჭირდებათ ბევრი ვარჯიში კითხვაში გასაწაფად.პრეზენტაცია ეხმარება მოსწავლეებს გამომეტყველებიტი კითხვის დაუფლებაში.

დამოუიდებელი ჩუმი კითხვა სკაფოლდინგით

მოსწვლეები დამოუკიდებლად შარჩევენ ტექსტს და კითხულობენ ჩუმად დამოუკიდებლად. მასწავლებელი დადის და აკვირდება კიტხვის პროცესს.დროდადრო ჩერდება რომელიმე მოსწავლესთან და სთხოვს ხმამაღა წაკითხვას.შესაძლებელია შეკითხვების დასმაც.

ამავე სახელმძღვანელოშიაა ღწერილი რეკომედაციები გაწაფული კითხვის დაუფლებისთვის:

წააკითხეთ ბავშვებს ყველაფერი- წარწერა პოსტერზე, ,,დილის მესიჯი'' და ა.შ.მასწავლებლის მაგივრად მოსწავლემ წაიკითხოს, რაც დაეხმარება მოსწავლეს გაწაფული კითხვის უნარის გაუმჯობესებაში.

გაწაფული კითხვის აქტივობის ბარათები- შესაძლებელია დამზადდეს 2-3 წინადადებიანი საკითხავი აქტივობის ბარათები.საჭიროების მიხედვით უნდა იცვლებოდეს ამ ბარათზე დატანილი ტექსტი.

გაწაფული /გამართული კითხვის განმავითარებელი მეთოდები და აქტივობები

კითხვის მატარებელი

მეთოდის გამოყენების დროს მატარებლის ვაგონების მსგავსად ერთ მწკრივად მდგომი მოსწავლეები მიმდევრობით აგრძელებენ ერთი და იმავე ტექსტს.

ამ დროს მოსწავლეებს გამოუმუშავდებათ:

უშეცდომოდ კითხვის უნარი

ყურადღების კონცენტრაციის უნარი

მოსმენის უნარი

ფრაზებად კითხვა

მოსწავლეები ტექსტს კითხულობენ ფრაზება/ულუფებად. გაწაფული კითხვის დროს მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ასო-ასო ან მარცვალ-მარცვალ კითხვის საფეხურის დაძლევა , არამედ ცალკეული სიტყვების აზრობრივად დაჯგუფება და გამთლიანებულ ფრაზებად წაკითხვა.

მოსწავლეებს გამოუმუშავდებათ:

სიტყვების ფრაზებად გმთლიანების უნარი

სათანადო ინტონაციით კითხვის უნარი

სასვენი ნიშნებით გათვალისწინებით კითხვის უნარი

წყვილებში კითხვა-მოსწავლეები წყვილებში კითხულობენ ნაცნობ ტექსტს,აფასებნ როგორც საკუთარ, ისე მეწყვილეს და ცდილობენ და ცდილობენ ერთმანეთს დაეხმარონგაწაფული კითხვის უნარის

დახვეწაში.მეთოდი მოსწავლეებს სტიმულს აძლევს წაიკითხონ იმაზე უკეთესად ვიდრე ამას ჩვეულებრივად აკეთებენ.

გამეორებითი კითხვა -გულისხმობს ერთი და იმავე ტექსტის რამდენჯერმე წაკითხვას.ეს მეთოდი ხელს უწყობს

კითხვის სიჩქარის ზრდას, სიტყვების და ფრაზების უშეცდომოდ კითხვის უნარს,სათანადო ინტონაციით კითხვის უნარს,ყურადღების კონცენტრირების უნარს.

ხმამაღალი წაკითხვა შეცდომებით-არის ეფექტური გზა გაწაფული კითხვის უნარის დასახვეწად.მასწავლებლის მიერ განგებ არასწორად წაკითხულ ტექსტში შეცდომების აღმოჩენა მოსწავლეებს უვითარებს: სიტყვებისა ფაზების და უშეცდომოდ წაკითხვის უნარს,ყურადღების კონცენტრირების უნარს, მოსმენის უნარს.

მკითხველის თეატრი და მისი ვარიაცია -გულისხმობს მოსწავლეთა მიერ წინასწარ ჩერჩეული ტექსტის როლებში წაკითხვას.საურველია წლის განმავლობაში არაერთხელ გამეორება. მოსწავლეებს უვითარებს: სიტყვებისა და ფაზების უშეცდომოდ წაკითხვის უნარს,ყურადღების კონცენტრირების უნარს, მოსმენისა და მეტყველების უნარს.

კითხვა ბუქსირით-მასწავლებელი კითხულობს თვალსაჩინოდ განთავსებულ ტექსტს,მოსწავლეები ექოდ კითხულობენ მის წაკითხულს, მასწავლებელი მოულოდნელად ცვლის კითხვის ტემპს, მოსწავლეები ცდილობენ მასწავლებისავით წაიკითხონ. შემდეგ მასწავლებელი ცვილს ტონს და ტემბრს.მოსწავლეებს უვითარებს: უშეცდომოდ წაკითხვის უნარს,ყურადღების კონცენტრირების უნარს, მოსმენისა და მეტყველების უნარს.

უცნაური ხმებით კითხვა-ტექსტის წაკითხვა სხვადასხვა ხმით,ეს მეთოდი ზრდის მოტივაციას და აუმჯობესებს კითხვის ტექნიკას.

სუპერ სიჩქარე- მოსწავლეები ერთი წუთის განმავლობაში წყვილებში მორიგეობით კითხულობენ თითო სიტყვას მათთვის გადაცემული სიტყვების ნუსხიდან.მომდევნო წაკითხვისას ისინი ცდილობენ გააუმჯობესონ შედეგი.

სიტყვის წაკითხვის ტესტი--სიტყვების დეკოდირების და /ან ავტომატურად ცნობის უნარის შემოწმება.სასურველია სკრინინგის ჩატარება სემესტრის დასაწყისში.ტესტის ჩასატარებლად საჭიროა მასწავლებლის ფურცელი, მოსწავლის ფურცელი, საათი ან წამზომი.ტესტი გრზელდება 60 წამი. დასრულების შემდეგ,შემფასებელი დაითვლის სწორად წაკითხული სიტყვების რაოდენობას.

ტექსტის წაკითხვის ტესტი- ამ შემთხვევაში უკვე ყურადღება ექცევა კითხულობდა თუ არა მოსწავლე სასვენი ნიშნების გათვალისწინებით, შესაბამისი ინტონაციით. 60 წუთის ამოწურვის შემდეგ შემფასებელი ითვლის სწორად წაკითხული სიტყვების რაოდენობას. (კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე G-PRIED 2015წ.).

ძალიან საიტერესო ახალი მეთოდის შესახებ გავეცანი იფორმაციას ხათუნა ყოჩიაშვილის ინტერნეტ სტატიში ,,ლუფსის მეთოდი გაწაფული კითხვის უნარის განვითარებისთვის“ (http://mastsavlebeli.ge/?p=16248) აღწერილი და დასაბუთებულია ამ მეთოდის გამოყენების ეფექტურობა კითხვის უნარი ჩამოყალიბებისთვის.რომლის რამდენჯერმე გამოყენებით მოსწავლე სწავლობს არა მხოლოდ კითხვას არამედ საკუთარი თავის ობიექტურ შეფასებას.

მასწავლებლის სახელმძღვანელოში ,,წიგნიერება“ირინა სამსონია აღნიშნავს, რომ ,,კითხვის უნარის განვითარებას საფუძვლად უდევს ხუთი მთავარი კომპონენტი: ფონოლოგირი ცნობიერება, ანბანური პრინციპის გაგება, ლექსიკის დაუფლება, თავისუფალი კითხვა, წაკითხულის გააზრება.“

ავტორის აზრით მნიშვნელოვანია მასწავლებელი თითოეულ მოსწავლეს დააკვირდეს სწავლების ყველა ეტაპზე და გამოავლინოს რომელ კომპონენტში ჭირდება მას დახმარება. წარმატებულ მკითხველად ჩამოყალიბების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად ასახელებს მოტივაციას.მოტივირებულ მოსწავლეს კითხვის პროცესი სიამოვნება ანიჭებს, ამიტომ იგი დროთა გამნმავლობაში უფრო და უფრო კარგად ეუფლება და იყენებს კითხვის მრავალფეროვან სტრატეგიებს.ჩამორჩენილი მკითხველის პრობლემა ხშირად მოტივაციის ნაკლებობაა.მოსწავლეებთან მუშაობის მთავარია არა მარტო სწავლების მეთოდების და აქტივობების შეთავაზება არამედ,მათი დახმარება , რომ დავუბრუნოთ სკუთარი თავის რწმენა დ აშინაგანი მოტივაცია.

კითხვის მოტივაციის ასამაღლებლად ზოგიერთი სპეციალისტი გამოყოფს 4 უმთავრეს მიდგომას: 1) კითხვის მინის განსაზღვრა მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, ამ დროს მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს ,რომ მოსწავლე უფრო ყურადღებით წაიკითხავს ტექსტს, თუ იგი ეხება მისთვის საინტერესო თემას. თუ კითხვა ვალდებულებაა და მისი მიზანი მხოლოდ დავალების შერულებაა, მშინ საგრძნობლად კლებულობს მოსწავლის შინაგანი მოტივაცია.

2) მოსწავლის არჩევანის პატივიცემა -მოსწავლეს საშუალება მივცეთ, რომ მონაწილეობა

მიიღოს საკიტხავი მასალის შერჩევაში. თავად აირჩიოს საკუთარი როლი (როლური კითხის დროს). კარგი იქნება თუ მასწავლებელი გაითვალისწინებს მოსწავლის ინტერესს, რა ტიპის პროდუქტი სურს, რომ შექმნას წაკითხულ ტექსტთან დაკავშირებით. (თხზულება, ნახატი, პროექტი.)

3) საინტერესო საკითხავი მასალის შერჩევა---მოსწავლეებს ეხალისებათ ისეთი ტექსტის შერჩევა, რომელიც მათ ინტერესს აღძრავს, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ მოსწავლეები ინტერესით კითხულობენ ვიზუალურად მიმზიდველ ტექსტებს.ყურადღება უნდა მიექცეს ილუსტრაციებსა და თვალსაჩინოებებს, შრიფტის ზომას და ა.შ.ამის შესარჩევად არ არსებობს უნივერსალური ვიზუალური საზომი, ამიტომ სასურველია გვქონდეს ინფორმაცია მოსწავლეების ინტერესების შესახებ და ამის მიხედვით შეირჩეს საკითხავი მასალა.

1
1

4)მოსწავლეთა შორის თანამშრომლობის წახალისება --- როგორც გამოცდილებამ აჩვენა,მოსწავლეები მოტივირებულები ხდებიან სწავლაში და ხშირად კაკვეთილების შემდეგაც აგრძელებენ მუშაობას , თუკი მათ მივცემთ საშუალებას დაამყარონ ერთმანეთთან სოციალური ინტერვენცია.თანამშრომლობის გზით, ერთად გადაწყვიტონ სასწავლო ამოცანები.სასურველია მასწავლებელმა დაგეგმოს ისეთი აქტივობები, რომლის დროსაც მოსწავლეები ერთად წაიკითხავენ ტექსტს,გაუზიარებენ ერთმანეთს ინიციატივას შეხედულებებს და მოსაზრებებს. (,, წიგნიერება“ ი.სამსონია სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი, 2013.გამომცემლობა მწიგნობარი.)

თავი III კვლევის მეთოლოგია

3.1საკვლევი საკითხის შეწავლა

საკვლევი საკითხის შესწავლის მიზნით და იმისათვის , რომ პასუხი გამეცა კვლევის ძირითად და ქვეკითხვებზე, საჭრო იყო მონაცემების შეგროვება და მონაცემთა ანალიზი. „მონაცემთა შეგროვება და ამ მონაცემების ანალიზი კვლევის პროცესში ერთ-ერთი საკვანძო და საპასუხისმგებლო ფაზაა. მის სწორად და კვალიფიციურად წარმართვაზე ბევრადაა დამოკიდებული კვლევის საბოლოო შედეგი“ (სქემის გზამკვლევი. მეორე ნაწილი გვ 67).

გავანალიზე რა, რომ კვლევის ამ ეტპის სწორად წარმართვა მკვეთრად განაპირობებდა კვლევის საბოლოო შედეგებს, გამოვიყენე მონაცემთა შეგროვების თვისობრივი (ინტერვიუ,დაკვირვება, ფოკუს ჯგუფი)და რაოდენობრივი (ანკეტირება)მეთოდები.

3.2 მეთოდები

დაკვირვება---- კვლევის თვისობრივი მეთოდებიდან გამოვიყენე დაკვირვება,რომლის მიზანი იყო საკვლევი სუბიექტის (ამ შემთხვევაში მე-3 კლასელი მოსწავლეების ბუნებრივ გარემოში დაკვირვება და აღქმა.დაკვირვებისას გაწაფული კითხვის უნარის დონის დადგენა,ასევე იმის გარკვევა რა უშლის ხელს საკვლევ სუბიექტს გაწაფული კითხვის უნარის სრულყოფაში.მოსწავლეთა დაკვირვება კვლევის დასრულებისასაც მოვახდინე, რათა შემეფასებინა,გამოიღო თუ არა შედეგი ჩემ მიერ განხორციელებულმა ინტერვენციებმა.

უბრალო დაკვირვება არასაგაკვეთილო პროცესში მოვახდინე, ჩართული კი-საგაკვეთილო პროცესში. დაკვირვების შედეგები შემქონდა დაკვირვების დღიურში. პირველი სემესტრის მიმდინარეობისას , გაწაფული კითხვის შედეგების შემოწმებისა და ესგ სტანდარტთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, მოსწავლეებში ვაწარმოე აღწერითი დაკვირვება.დაკვირვება ხდებოდა წინასწარ შერჩეული მონიტორინგის ფორმის მიხედვით. ამ დაკვირვებამ კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ საკვლევი საკითხი სწორად მქონდა შერჩეული, რომ მოსწავლეთა ნაწილს უჭირს გაწაფული კითხვა და ჩამორჩება ესგ სტანდრტის მისაღწევ შედეგებს.

1

2

ფოკუსირებული დაკვირვება-- ამის შემდეგ გადავედი ფოკუსირებულ დაკვირვებაზე ამისათვის დავამზადე დაკვირვების ფურცელი, ესგ სტანდარტის მისაღწევი შედეგების მიხედვით. რომლის მიზანი იყო , ესგ სტანდარტთან მოსწავლეთა მიღწევის დონის დადგენა რისკ ჯგუფის გამოვლენა.(იხილეთ დანართი 1)

ასევე ჩავტარე დიაგნოსტიკური ტესტირებები რისკ ჯგუფის მქონე მოსწავლეებთან. ინდივიდუალურად ტექსტის წაკითხვის ტესტის საშუალებით მოვახდინე წაკითხვის უნარის შემოწმება ცალკეულ მოსწავლეებში.(დანართი 2)შედეგები შემქონდა დაკვირვების დღიურში.(დანართი 3)

დეკოდირების უნარის შესამოწმებლად ვიყენებდი ფსევდოსიტყვების წაკითხვის ტესტს.(იხ. დანართი 3 .1)

ფოკუს ჯგუფი (დაწყებითი კლასის მასწავლებლები,ჯგუფური ინტერვიუ)----ინტერვიუ ჩატარდა დაწყებითი კლასის მასწავლებლებთან,რომელ მიზნად ისახავდა საკითხის სიღრმისეულად შესწავლს და იმის დადგენას ,ჰქონდათ თუ არა მსგავსი პრობლემები მათ კლასში. რას ფიქრობდნენ მშობელთა როლზე კითხვის უნარიების განვითარებაში. რა მეთოდებს იყენებდნენ ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად.(ინტერვიუს კითხვები დანართი 4).

ანკეტირება--- იმ მიზნით, რომ მონაცემები კიდევ უფრო სრულყოფილი ყოფილიყო და მათი რაოდენობრივად წარმოდგენა მომხდაროყო, მოვახდინე ანკეტირება წინასწარ შედგენილი კითხვარების მიხედვით. კითხვარები იყო როგორც დახურული ტიპის,რომელასც მიწერილი ჰქონდა სავარაუდო პასუხები.ასევე ღია ტიპის. (დანართი 5. დანართი 6.) მონაცემები წარმოვადგინე დიაგრამების სახით.

3.3 მონაცემთა ანალიზი: ფოკუსირებული დაკვირვებისას გამოვიყენე ესგ სტანდარტის გავალისწინებით ჩემს მიერ შედგენილი ცხრილი,რომლმაც საშუალება მომცა გამომევლინა გაწაფული კითხვის უნარის დაქვეითების რისკ ჯგუფი.ამ მონაცემებით აღმოჩნდა, რომ მე-3 კლასში მოსწავლეთა ნაწილს ჰქონდა ეს პრობლემა.

შემდეგ ჩავტარე დიაგნოსტიკური ტესტირება, რისთვისაც გამოვიყენე G-PIEDE-ის ტექსტის წაკითხვის ტესტი.მოსწავლეთა ინდივიდუალური შედეგები შევიტანე დაკვირვების დღიურში. (დანართი 3)ხოლო კლასის საერთო შედეგი წარმოვადგინე დიაგრამის სახით.

ასევე ტექსტის კითხვის დრო გამოვლიდა, რომ ორ მოსწავლეს აქვს კითხვის ინტონაციის, არტიკულაციის დარღვევა--არ იცავს წინადადებების საზღვრებს, კითხვით წინადადებებსაც თხრობითი წინადადების მსგავსად კითხულობს.

ერთი მოსწავლე შეცდომებს უშვებს მიხვედრითი კითხვის გამო.ღმერთის მაგივრად წაიკითხა-ღმერთმა,ყვავილისკენ მაგივრად წაიკითხა ყვავილებისკენ.ასევე კითხვის დროს ერთ ასოს ცვლის მეორე ასოთი.(შეუდგა --წეუდგა. შრომით-- წრომით).

მშობელთა გამოკითხვები წარმოვადგინე დიაგრამის სახით,რომლის ანალიზის შედეგად ნათელი გახდა, რომ მოსწავლეთა 45% აქვს სახლში კლასგარეშე ლიტერატურა,მშობელთა 20% კითხულობს შვილთნ ერთად, 25% იცნობს შვილის მიღწევებს გაწაფულ კითხვაში. ლიტერატურას,ხოლო მშობელთა 10 % ამბობს რომ არ აქვს დრო, რომ წაიკითხოს შვილთან ერთად.

წუთში წაკითხული სიტყვების რაოდენობა

50-ზე მეტი სიტყვა

30-50 სიტყვა

30-ზე

1
4

მოსწავლეთა 50% უყვარს კითხვა, 20% არ უყვარს კითხვა,30% აღნიშნავს რომ ნაკლებად უყვარს კითხვა.

მშობელთა გამოკითხვა

აქვთ სახლში კლასგარეშე ლიტერატურა

კითხულობენ შვილებთან ერთად
იციან შვილის მიღწევები
გაწაფულ კითხვაში
არ აქვთ დრო შვილებთან ერთად კითხვისთვის

15

ამ დიაგრამიდან ირკვევა, რომ მოსწავლეთა უმრავლესობა მეტ დროს ატარებს კომპიუტერთან.

კითხვაზე მოგწონთ მასწავლებლის მიერ შემოთავაზებული აქტივობები? გამოკითხვის შედეგების ანალიზიდნ ირკვევა, რომ კვლევის ბოლოს საგრძნობლად გაიზარდა დიახ პასუხი, რაც მიუთითეს იმაზე, რომ მასწავლებელმა განხორციელებული ინტერაქციით მოახერხა მოსწავლეთა დაინტერესება ეფექტური აქტივობებით.

სად უფრო მეტ დროს ატარებთ?

კომპიუტერთან
წიგნთან

გიყვართ კითხვა?

მიყვარს
ნაკლებად მიყვარს
არ მიყვარს

16

კვლევის დასაწყისში

3.4 კვლევის მიგნებები

მ
ო
წ
ა
ვ

ლ

ე

თ

ა

რ

ა

ო

დ

ე

ნ

ო

ბ

ა

მონაცემთა ანალიზისა გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი მიგნება:

➢ მიუხედავად იმისა რომ ამ კლასს ვასწავლი პირველივე კლასიდან და საანბანო პერიოდიდან მოყოლებული ვცდილობდი გაწაფული კითხვის უნარის განვითარებას. გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა ნაწილი არ ითვლება გაწაფულ მკითხველად რადგან ჩამორჩება ესგ სტანდარტით გათვალისწინებულ შედეგეს. ➢ კითხვის უნარის დარღვევა ---ფოკუსირებული დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა მოსწავლეთა ინდივიდუალური სუსტი მხარეები, (თუ რა უშლიდა ხელს ამ უნარის ჩამოყალიბებას.). ერთ მოსწავლე კითხულობდა მიხვედრით კითხვით. 1 მოსწაველეს კვლავ ჰქონდა ასოთა ერთმანეთში არევა.(შ და წ ასოები) ➢ კომპიუტერთან მიჯაჭულობა-----ანკეტირების შედეგად გაირკვა, რომ მოსწავლეთა მხოლოდ

30% ატარებდა წიგნთან უფრო მეტ დროს. ➢ მშობელთა ჩართულობის დაბალი დონე კითხვის პროცესში---- მშობელთა ანკეტირებამ აჩვენა, რომ მხოლოდ 45% აქვსა კლასგარეშე

ლიტერატურა სახლში. 10% არ აქვს დრო იკითხოს შვილთან ერთად. 25% იციან შვილის მიღწევები და მხოლოდ 20% კითხულობს შვილთან ერთად.

მოგწონთ მასწავლებლის მიერ შემოთავაზებული აქტივობები?

➢ მოსწავლეთა დაბალი მოტივაცია კლასში კითხვისას----12 მოსწავლეს მოსწონს მასწავლებლის

მიერ შეთავაზებული კითხვის აქტივობები, 6 მოსწავლეს საშუალოდ მოსწაონს. 2 მოსწავლეს არ მოსწონს. ➢ მოსწავლეთა დაბალი ცნობიერება კითხვის საჭიროებაზე და წიგნიერების აუცილებლობაზე

მათი როგორც პიროვნებად ჩამოყალიბებისთვის.

თავი IV ინტერვენციები დაგეგმვა და განხორციელება

. მონაცმთა ანალიზზე დაყრდნობით და იმ ლიტერატურის საფუძველზე (სადაც აღწერილი იყო გაწაული კითხვის უნარის ხელშემშლელი ფაქრორები და ის სტრატეგიები, მეთოდები და

აქტივობები, როლებიც ხელს უწყობენ გაწაფული კითხვის უნარის განვითარებას) რომლიც შევისწავლე კვლევის პროცესში, დავგეგმე და განვახორციელე შემდეგი ინტერვენციები:

მშობელთა ინფორმირებულობა

მიზანი: მივაწოდო მშობლებს მეტი ინფორმაცია მისაღწევ შედეგებზე და გაწაფული კითხვის საჭიროებაზე ასევე მათი შვილის მიღწევის დონეზე.

მოვიწვიე მშობელთა კრება და გავაცანი ესგ სტანდარტი და ინდიკატორები,ყურადრება გავამახვილე გაწაფული კითხვის სტანდარტზე. შევეცადე გარკვევით ამეხსნა თუ რას ითვალისწინებდა თითოეული ინდიკატორი და რა შედეგზე უნდა გასულიყვნენ მოსწავლეები გაწაფულ კითხვაში.ინდივიდუალურად გავაცანი თავინტი სვილებბის მირწევის დონე.ასევევ მინი ლექციით შევეცადე ამეხსნა მშობლებისთვის გაწაფული კითხვის მნიშვნელობა მათი შვილების შემდგომი განვითარებისთვის და ზოგადად წიგნიერების როლი ბავშვების განვითარებისთვის.

კომპიუტერში შექმნილი ზღაპრების დააგზავნა ბუკებში მიზანი: კომპიუტერის მიზნობრივად გამოყენება , კითხვის მოტივაციის ამაღლება.

გავითვალისიწინე რა გამოკითხვის შედეგები, რომელის მიხედვთაც მოსწავლეები დიდ დროს ატარებდნენ კომპიუტერთან, შევეცადე ეს ფაქტი გამომეყენებინა და მიზნობრივად მიმემართა მათი და მოკიდებულება ტექნოლოგიების მიმართ.მოვიძიე ილუსრტირებული ზღაპრები და მოთხრობები (მათ შორის მეც შევქმენი რამდენიმე) გადავუგზავნე ბუკებში. ეს სტრატეგია მართლაც შედეგიანი აღმოჩნდა, მოსწავლეები აქტიურად და ხალისით კითხულობდნენ ტექსტებს სახლში და შემდეგ ერთმანეთს უზიარებნენ აზრს. ასევე გაკვეთილზე კლასის მართვის პროგრამით ვუგზავნიდი ჩემ მიერ შექმნილ სავარჯიშოებს სადც უნდა ეპოვათ ტექსტში გამოტოვებული სიტყვა.

1
8

ბარათების ტექნიკის გამოყენება (ეს ინიტერვენცია განვახორციელე მრავალჯერადად.)

მიზანი: ფონოლოგიური ცნობერების განვითარება, მიხვედრით კითხვის ჩანაცვლება სწორი კითხვით.

მოწავლე ვაძლევ ბარათებს,სადაც სიტყვები დაწერილია შეცდომებით მან უნდა გაასწოროს შეცდომები და ისე წაიკითხოს.

ბგერათა შენაცვლების გასაუმჯობესებლად მოწავლეს გამოვაძერწინე შ ასო შავი ფერის საძერწით წ წითელი ფერის საძერწით. შემდეგ ეს ასოები განათავსა თვალსაჩინო ადგილზე, ეს მეთოდი დაეხმარა მოსწავლეს ვიზუალურად და უფრო კარგად აღექვა და ფერი დაეკავშირებინა ბგერის წარმოთქმასთან.

შერჩეული ტექსტის განმეორებითი კითხვა

მიზანი: კითხვის სიჩქარის თნდათანობით გაზრდა, სიტყვებისა და ფრაზების უშეცდომოდ წაკითხვა, სათანადო ონტონაციით წაკითხვა.

მოსწავლეთა ინტერესის გათვალისწინებით შევარჩიე საკითხავი ტექსტი, წავკითხე მოსწავლეს და აღრიცხვის ფორმაში მოვინიშნე წსწს.(წუთში სწორად წაკითხული სიტყვები). მოსწავლეს ვთხოვდი ევარჯიშა ტექსტის კითხვაში. ორი დღის შემდეგ კიდევ წავაკითხე იგივე ტექსტი და კვლავ მოვინიშნე წსწს. ეს ქმედება გავიმეორე 3ჯერ.

ამ აქტივობის გამოყენებამ გამოიწვია შედეგების გაუმჯობესება, მოსწავლეები უფრო მოტივირებულები გახდნენ და ყოველ ახალ წაკითხვაზე გაუმჯობედა ინტონაცია.

წყვილებში კითხვა

მიზანი: ტექსტის სატანდო ინტონაციით უშეცდომოდ წაკითხვა, ყურადღების კონცენტრაციის უნარის გამომუშავება, თვითშეფასებია და ურთიერთშეფასების და თანამშრომლობითი უნარის გამომუშავება.

მოსწავლეებს ვანაწილებდი წყვილებად და ვაძლევდი ტექსტს აბზაცების მიხედვით.მოსეავლეები ჯერ დამოუკიდებლად კიტხულობდნენ შემდეგ მეწყვილეს უკითხავდნენ ტექსტს, ბოლოს წყვილები ერთდროულად კითხულობდნენ.წაკითხვის შემდეგ მოსწავლეები აფასებდნენ როგორც საკუტარ, ასევე მეწყვილის წაკითხულს.

კითხვის საათი

მიზანი: წიგნთან მუშაობის ტექნიკის გამომუშვება, მშობელთა ჩართულობის გაზრდა.

კვირაში ერთხელ ვატარებდი კითხვის საათს, ნაწარმოებებს ვარჩევდით მოსწავლეების ინტერესების გათვალისწინებით. კითხვის საათზე ვიყენებდი მოპირველ რიგში კითხულობდი მოდელირებით კითხვის მეთოდს. ჯერ ვუკითხავდი მეშმდეგ ვაკითხებდი მოსწავლეებს.

კითხვის საათზე ხშირად ვიწვევდი მშობლებს, რომლებიც ასევე ჩართულნი იყვნენ კითხვის პროცესში.

კითხვა ,, ლუფსის“ მეთოდით

მიზანი: საკუთარი წაკითხულის შეფასება, შეცდომების აღმოჩენა და გამოსწორება, სტიმულის მიცემა, რომ გამოასწორებს შეცდომით წაკითხულ სიტყვებს.

მოსწავლებს ვაძლევდი წასაკითხ ტექსტს, და ვთხოვდი წაკითხვას. პირველ ჯერზე მე ვუთითებდი შეცდომით წაკითხულ სიტყვებზე და ვთხოვდი უბრალო ფანქრით გაეხაზათ ეს სიტყვები. მეორე ეტაპზე ხაზგასმულ სიტყვებს კითხულობდა რამდენჯერმე დამოუკიდებლად. მესამე ეტაპზე თანდათან შლიდა გამოსწორებულ სიტყვებს, მეოთხე ეტაპზე კითხულობდა დარჩენილ სიტყვებს. მოსწავლეები ამ მეთოდთ კითხვისას იყვნენ უფრო თავდაჯერებულნი, რომ შეძლეს შეცდომების გამოსწორება და ვიუალურად დააფიქსირეს, რომ შეცდომების რაოდენობამ თანდათან მოიკლო, რაც უმაღლებდა კითხვის მოტივაციას. კონკურსი ,,გაწაფული მკითხველი“

მიზანი: კითხვის უნარის განვითარება, მოტივაციის გზრდა

სკოლაში ჩატარდა კონკურსი გაწაფული მკითხველების გამოსავლენად. აღნიშნულ კონკურსში ჩაერთვნენ ჩემი კლასის მოსწავლეები და გამოვლენილ მკითხველებს გადაეცათ სიგელები.

შეხვედრა საბავშვო მწერლებთან

მოსწავლეებში კითხვის მოტივაციის ამაღლების მიზნით და იმისათვის რომ შეგვეყვარებინა კითხვა. დაწყებითი განათლების კათედრამ სკოლის დირექციის ხელშეწყობით დავგეგმეთ საბავშვო მწერლების მოწვევა სკოლაში. დიდი აქტიურობით ჩავერთე აღნიშნულ ღონისძიებაში. შესაბამისად გავაცანი ჩემს მოსწავლეებს ეს ინფორმაცია

და ვთხოვე, რომ მშობლების დახმარებით მოეძიებინათ ინფორმაცია ამ მწერლრბზე. მე დავურიგე მათ მიერ დაწერილი ლექსები და ვთხოვე, რომ სტუმრებისთვის წაეკითხათ. შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა, ჩემი მოსწავლეები გულმოდგინედ შეუდგნენ ლესქსების სწავლას და სულმოუთქმელად

ელოდნენ მათთან შეხვედრას.

შეხვედრა ძალიან საინტერესოდ წარიმართა.ბავშვები იყვნენ აქტიურები, მოტივირებულები, ყურადღებით უსმენდნენ მწერლების საუბარს, სვამდნენ საინტერესო შეკითხვებს და კითხულობდნენ ლექსებს. ბოლოს სამახსოვრო ფოტოებოც გადაიღეს. მოსწავლეებზე დადებითად იმოქმედა შეხვედრამ, უფრ მეტად დაინტერესდნენ მათი შემოქმედებით და წაიკითხეს კიდევ სხვა ნაწარმოებები. კლასგარეშე კითხვისას მათი გვარის აღმოჩენის შემთხვევაში აღტაცებას ვერ მალავდნენ ,ცდილობდნენ უფრო გულისყურით წაეკითხათ ამ მწერლების მიერ დაწერილი მოთხრობები. წაკითხულის შესახბე აზრს უზიარებდნენ თანაკლასელებს.

თავი V ინტერვეციების/ ქმედებების შეფასება

კვლევის პროცესში განხორციელებული ინტერვენციების/ ქმედებების შედეგების შესაფასებლად გამოვიყენე დაკვირვების და ანკეტირება. მეთოდი. გაწაფული კითხვის მონიტორინგისა და შეფასებისთვის გამოვიყენე რამდენიმე ეფექტური ინსტრუმენტი: ტექსტის წაკითხვის ერთწუთიანი ტესტი, კითხვის დასრულებისას მონიტორინგის რვეულში ვინიშნავდი მოსწავლეთა შედეგებს ინდივიდუალურად

გაწაფული კითხვის შეფასების რუბრიკები,მოსწავლეებს ვაფასებდი წინასწარ შედგენილი რუბრიკით.

მართული პრაქტიკის პროცესი------- თვალყურს ვადევნებდი მოწავლეთა ხმამაღალიკითხვის პროცესს და ჩანაწერს ვაკეთებდი რვეულში, ეს ჩანიშვნები მეხმარებოდა მოსწავლეთა მიღწევებისა და საჭიროებების განსაზღვრაში.პრაქტიკული სავარჯიშოების შერჩევაში და მოსწავლეთა დაწყვილებაში.

მიღებული შედეგები მაფიქრებინებს, რომ ინტერვენციები, ძირითადად, სწორად იყო დაგეგმილი და განხორციელებული.

მოსწავლეებმა გააუმჯობესეს წუთში წაკითხული სიტყვების რაოდენობა.

ასევევ გაიზარდა სწორად წაკითხული სიტყვების რაოდენობა.

მიხვედრით კითხვის გამოსასწორებლად გამოყებულმა აქტივობის ბარათებმა, სადაც

სიტყვები დაწერილი იყო შეცდომებით და მოსწავლეს უნდა შეესწორებინა და ისე წაეკითხა, მნიშვნელოვნი შედეგი გამოიღო და მიხვედრით კითხვა თანდათანობით ჩაანაცვლა სწორმა კითხვამ.

ასევე კარგი შედეგი მოჰყვა ამ აქტივობას ასოთა გადანცვლებისას, შეიძლება ითქვას, რომ ეს პრობლემა მთლიანად იქნა აღმოფხვრილი.

ბუკებში დასურათებული მოთხრობების და ზღაპრების გადაგზავნას და კითხვას არ მოჰყოლია კოპიუტერთან გატრებული დროის შემცირება, მაგრამ საგრძნობლად გაზარდა კითხვის მოტივაცია. მოსწავლეები ბუკებსი უფრო ხალისით კითხულობდნენ ვიდრე წიგნში. ასევე ძალიან მოსწონდათ კლასის მართვის პროგრამით გადაგზავნილი სავარჯიშოები.

გაიზარდა მასწავლებლის მიერ შეთავაზებული აქტიბობების დადებითი შედეგი.

2

2

მოგწონთ მასწავლებლის მიერ შემოთავაზებული აქტივობები?

20 18161412108642 0 კვლევის დასაწყისში კვლევის ბოლოს

მომწონს ნაწილობრივ არა

მნიშველოვნად გაიზარდა მშობელთა ჩართულობა, მშობლები მეტი ინტესივობით ინტერესდებოდნენ შვილის შედეგებით. უფო მეტს კითხულობდნენ შვილებთან ერთად. ,,კითხვის საათზე“ მშობელთა მოწვევით მოსწავლეები უფრო მობილიზებულები გახდნენ.მშობლებმა კი კარგად დაინახეს შვილების ძლიერი და სუსტი მხარეები გაწაფულ კითხვაში.

გაწაფული მკითხველის გამოვლენის კონკურსმა მოსწავლეებს აუმაღლა გარეგანი მოტივაცია.

მწერლებთან შეხვედრამ გამოიწვია მოსწავლეთა დაინტერესება მათი შემოქმედებით,

რამაც დადებითად იმოქმედა კითხვის მოტივაციის გაზრდაზე.

,,ტექსტის განმეორებით კითხვამ " საკვლევ დროში ვერ ურუნველყო მთლიანად კითხვის ინტონაციის გამოსწორება. უმჯობესი იქნებოდა გამომეყენებინა კიდევ წაკითხულის აუდიოჩანაწერები, რომელიც საშუალებას მისცემდა მოსწავლეს შეეფასებინა საკუთარი და ასევე სხვისი წაკითხული.

2
3

თავი VI . დასკვნა/რეკომენდაციები

ჩემ მიერ განხორციელებული კვლევიდან გამომდინარე შემიძლია გავაკეთო დასკვნა იმაზე, რომ რომ ქ. ქარელის N2 საჯარო სკოლის მე-3 კლასში გამოვლენილი გაწაფული კითხვის უნარის განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემები გამოვლენილია , სწორად დაგეგმილი და განხორციელებული ინტერვენციების შედეგად ძირითადად აღმოფხვრილია. ვფიქრობ, პრობლემის იდენტიფიცირებისა და გადაჭრის მიზნით, სწორად დაგეგმილმა და განხორციელებულმა აქტივობებმა საშუალება მომცა ხელი შემეწყო გაწაფული კითხვის უნარის განვითარებისთვის. კონსტრუქტივისტულმა მიდგომებმა მოსწავლეებში გაზარდა საკუთარი თავის რწმენა და თვითდაჯერებულობა. მოსწავლეებს წინასწარ შევუქმენი განწყობა, რომ ჩვენ ერთობლივი მუშაობით მივაღწევდით მიზანს. რამაც გაზარდა ჩართულობა და მოტივაცია. მომავალში დავგეგმე მკითხველთა კლუბის შექმნა იმისათვის, რომ ხელი შევუწყო მოსწავლეებში მხატვრული ლიტერატურურის ინტენსიურად კითხვით მიღწეული უნარ-ჩვევების განმტკიცებას.სწორედ ბევრი კითხვა უწყობს ხელს მოსწავლის გაწაფულ მკითხველად ჩამოყალიბებას. გაწაფული კითხვა კი მომალში კარგად სწავლის და მიღწევების წინაპირობაა.

მშობლებთან განხორვიელებულმა აქტივობებმა ასევე გაზარდა მათი ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში. რამაც საბოლოოდ დადებითი შედეგი მოიტანა გაწაფული კითხვის უნარის განვითარებაში.

კვლევის ნაკლოვან მხარედ მიმაჩნია, რომ არ გამოვიყენე მოსწავლეთა თვითშეფასება, რაც კიდევ უფრო დაეხმარებოდა მოსწავლეებ საკუთარი მიღწევების მონიტორინგში. სამწუხაროდ, აღმოჩნდნენ მშობლები,მცირე ნაწილი, რომლებიც ვერ ჩავრთე შვილებთან ერთად

კითხვაში.გამოკითხვისას არ იყვნენ გულწრფელნი და კვლავ პრობლემად დარჩა მათი ცნობიერების ამაღლება წიგნიერების როლზე მათი შვილების განვითარებისთვის.

კვლევის დასრულების შემდეგ დაწყებითი განათლების კათედრის შეხვედრაზე, კოლეგებს გავაცანი ჩემი კვლევის ანგარიში, მოვამზადე პრეზენტაცია სადაც დეტალურად იყო არწერილი,თუროგორ მოვახდინე არსებული პრობლემის იდენტიფიცირება, როგორ შევარჩიე, დავგემე და განვახორციელე ინტერვენციები. მათ აღნიშნეს, რომ არსებული პრობლემა არსებობს მოსწავლეებში და გაითვალისწინებენ და გამოიყენებენ რეკომენდაციებს კითხვის სწავლებისას. კოლეგებს გავაცანი ინფორმაცია მკითხველთა კლუბის შექმნის შესახებ და მხარდაჭერა, რომ აუცილებლად ითანამშრომლებენ ამ კუთხით. კოლეგებისგან მივიღე უკუკავშირი რასაც აუცილებლად გავითვალიწინებ მომავალში.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შევიმუშავე რეკომენდაციები :
კოლეგებისთვის:

➢ შექმენით პოზიტიური გარემო, აგრძნობინეთ მოსწავლეებს, რომ პატივს ცემთ მათ აზრს. ➢ გაითვალესწინეთ მოსწავლეთა ინტერესები აქტივობების დაგეგმვისას, რათა კითხვა

სახალისო გახდეს. ➢ გამოიყენეთ მრავალფეროვანი აქტივობები და ცვალეთ საჭიროების მიხედვით ➢ გამოიყენეთ მოსწავლეთა თვითშეფასების რუბრიკები. ➢ წაახალით მოსწავლეები მცირედი წარმატესი დროსაც, რაც გაზრდის მათ

თვითდაჯერებულობას და გაბედულებას ➢ მოახდინეთ მოსწავლეთა ინდივიდუალური მეცადინეობა კონკრეტული პრობლემის

გამოსასწორებელი აქტივობებით. ➢ ითანამშრომლეთ მშობლებთან და ჩართეთ სასკოლო აქტივობებში ➢ ხშირად მიაწოდეთ მშობლებს ინფორმაცია მათი შვილების მიღწევების შესახებ.

თავი VII . გამოყენებული ლიტერატურა

ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა (დაწყებითი საფეხური) 2018-2024.

,,კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე“(სასწავლო-მეთოდოლოგიური კრებული.

G-PRIED
2015წ.

,,წიგნიერება“ ირინა სამსონია (სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი, 2013.გამომცემლობა მწიგნობარი.)

,,პრაქტიკის კვლევის დაგეგმვა წარმართვა და შეფასება“მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი 2016წ.

,,ლუფსის მეთოდი გაწაფული კითხვის უნარის განვითარებისთვის“

,,კითხვის ეფექტიანი მეთოდები“ (მაია ინასარიძე 18 აპრილი.2013წელი).

,,კითხვის ეფექტური მეთოდები“ (ნაწილი I)- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2010წ.

,,სამოქმედო კვლევის სახელმძღვანელო“ წიგნი I, წიგნი II.(დ.ლიპარტელიანი. სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი 2018წ.)

ჟურნალი ,,მასწავლებელი“ N1. 2014წ.(მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი).

,,დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მეთოდური გზამკვლევი.“ (2010) მასწავლებელთა

პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.

http://mastsavlebeli.ge/?p=23
85

http://qartuliazri.reportiori.ge/inside.php?menuid=67&id=15
451

დანართები

დანართი 1.

ქართ. დაწყ.(I).6. მოსწავლემ უნდა შეძლოს გაწაფულად კითხვა

N მოსწავავლის
სახელი და
გვარი

ულობს
სიტყვებს,
ულობს
სიტყვებს,
ულობს
სიტყვებს,
ს

ხმამაღლა, თავისუფლად
ხმამაღლა, თავისუფლად
ხმამაღლა, თავისუფლად

კითხულობს მასწავლებლის
მიერ მითითებულ ეპიზოდს, მცირე
ზომის ტექსტებს

კითხულობს მასწავლებლის
მიერ მითითებულ ეპიზოდს, მცირე
ზომის ტექსტებს

კითხულობს მასწავლებლის
მიერ მითითებულ ეპიზოდს, მცირე
ზომის ტექსტებს

კითხულობს მასწავლებლის
მიერ მითითებულ ეპიზოდს, მცირე
ზომის ტექსტებს

ხმამაღლა კითხვისას იცავს პაუზას	9
ხმამაღლა კითხვისას იცავს პაუზას	2
ხმამაღლა კითხვისას იცავს პაუზას	8
ხმამაღლა კითხვისას იცავს პაუზას	3
ხმამაღლა კითხვისას იცავს პაუზას	2
ხმამაღლა კითხვისას იცავს პაუზას	4
სასვენ ნიშნებთან	4
სასვენ ნიშნებთან	5
სასვენ ნიშნებთან	3
	5
	6
	7
	0
	8
	2
	9
	0

დანართი 2

ტექსტის წაკითხვის ტ

მოსწავლე-------- კლასი---------

მასწავლებელი-------- თარიღი--------

ქიანქველა და ფუტკარი

ყვავილები ამოსულიყო.ირგვლივ საოცარი სურნელი

ყვავილები იპოვა. ჯერ ღეროზე აცოცდა, შემდეგ გუ

ფუტკარიც მოფრიდა. ქიანქველას

არ ესიამოვნა მისი დანახვა. -თავი ნუ ამატკიეთ ა

ვშრომობ, მაგრამ ქვეყანას არ ვაყრუებ ტრაბახით! ---

ოსტატს გაეცინა, ოდნავადაც არ გაბრაზებულა. -რა

თავისთვის, მე კი ჩემი შრომით ჩემს თავსაც ვარგივარ

გამივლია, ღმერთმა ასეთი ბზუილა გამაჩინა,--მშვიდ

გაფრინდა.

წაკითხული სიტყვების რაოდენობა--------, შეცდომების რაო

ერთ წუთში სწორად წაკითხული სიტყვების რაოდენობა-----

1 . კითხულობდა თუ არა მოსწავლე სასვენი ნიშნების გათვ

ა) კი ბ) არა

2. კითხულობდა თუ არა მოსწავლე ინტონაციით?

ა) კი ბ) არა

დანართი 3.
მოსწავლის სახელი და გვარი
წაკითხული სიტყვების
შეცდომით წაკითხული რაოდენობა
სიტყვების
სწორად წაკითხული სიტყვების
დანართი 3.1 ფსევდოსიტყვების წაკითხვის ტესტი (G-Pried)
მასწავლებლის ფურცელი
სუზ ბივი ეგუ დოს კელ 5 იჯელ ზიგი ატინ სგურ ილან 10 ათქე პონუფ რირხი გიწმა სტისე
15 დვატეკ ხოპიე ქიძბა ჩეჰუშ ბუვუხ 20 ოვროხი შოდაძა თიპლან ლუპრე გვიზი 25 სნეფურ
დარწამ ღმიშკელა პუწედი ქისკო 30
მოსწავლის ფურცელი
სუზ ბივი ეგუ დოს კელ იჯელ ზიგი ატინ სგურ ილან ათქე პონუფ რირხი გიწმა სტისე
დვატეკ ხოპიე ქიძბა ჩეჰუშ ბუვუხ ოვროხი შოდაძა თიპლან ლუპრე გვიზი სნეფურ დარწამ
ღმიშკელა პუწედი ქისკო
29

დანართი 4.

კითხვები მასწავლებელთა ინტერვიუსთვის

მოგესალმებით, მე-3 კლასში ვატარებ საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევას. კვლევის წარმატებისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია ჩემი კოლეგების პაქტიკისა და გამოცდილების გაზიარება,რისთვისაც წინასწარ გიხდით მადლობას. გამოკითხვა ანონიმურია და არაა საჭირო სახელის და გვარის მითითება.

1.თქვენს მოსწავლეებს აქვთ თუ არა გაწაფული კითხვის უნარის განვითარებაში პრობლემები?

2.როგორ ფიქრობთ რა შეიძლება იყოს ამ პრობლემის მიზეზები?

3.ამ პრობლემების დასაძლევად საკმარისია საგაკვეთილო პროცესი თუ საჭიროა მშობელთა აქტიური ჩართულობა?

4.რომელ მეთოდებს იყენებთ გაწაფული კითხვის უნარის განვითარებისთვის?

დანართი 5

კითხვარი მშობლებისთვის

მოგესალმებით, ვატარებ საკუთარი პეადგოგიური პრაქტიკის კვლევას. კვლევის წარმატებით დასრულებისთვის თქვენი მონაწილეობა ძალზედ მნიშვნელოვანია.გთხოვთ პასუხის გაცემისას იყოთ გულწრფელები. გამოკითხვა ანონიმურია და სახელის და გვარის დაწერა არ არის საჭირო.

წინასწარ გიხდით მადლობას მონაწილეობისათვის.

1.გაქვთ სახლში კლასგარეშე ლიტერატურა?

ა) დიახ ბ) არა

2.კითხულობენ თქვენი შვილები კლასგარეშე ლიტერატურას?

ა)დიახ ბ) არა

3.თვითონ გამოხატავს კითხვის ინიციატივას თუ თქვენ აძალებთ?

ა)თვითონ ბ) ჩვენ ვაძალებთ

4.თქვენი შვილი კომპიუტერთან უფრო მეტ დროს ატარებს თუ წიგნთან?

ა) კომპიუტერთან ბ) წიგნთან

5.როგორ ფიქრობთ რატომ უნდა იკითხონ თქვენმა შვილებმა ბევრი?

6.თქვენ თუ უკითხვათ?

ა)დიახ ბ) არა

7.კითხულობათ შვილთან ერთად?

ა)დიახ ბ) არა

8. თქვენი აზრით, რა არის კითხვის უნარის განუვითერებლობის მიზეზი?

---

9. იცნობთ თქვენი შვილის მიღწევებს გაწაფულ კითხვაში?

ა)დიახ ბ)არა

10.რას ურჩევდით თქვენს შვილებს?

დანართი 6

კითხვარი მოსწალეთათვის

1.გიყვართ კითხვა ?

ა)დიხ ბ) არა

2.კომპიუტერი უფრო გიყვარს თუ წიგნი?

ა)კომპიუტერი ბ) წიგნი

3.გააქვთ სახლში მხატრული ლიტერატურა?

ა)დიახ ბ)არა

4.მოგწონთ მასწავლებლის მიერ შემოთავაზებული კითხვის მეთოდები?

ა)დიახ ბ) ნაწილობრივ გ) არა

5. დამღლელია თუ არა გაკვეთილზე კითხვა?

ა) დიახ ბ)არა

6.რატომ უნდა იკითხოთ ბევრი?

7.როგორი წიგნები მოგწონთ?----------

3
1

დანართი 7

კვლევის გეგმა 2018-2019 სასწ. წელი

აქტივობა ოქტომ
ბერი
ნოემბე რი
დეკემბერი იანვარი თაბერვალი მარტი აპრილი მაისი ივნი
სი პრობლემის იდენტიფიცირებ ა √ კვლევის მიზნისა და საკვლევი საკითხის ფორმულირება
√
ლიტერატურის მიმოხილვა √
მონაცემთა შეგროვება √
მონაცემთა ანალიზი √
ინტერვენციების დაგეგმვა √
ინტერვენციების განხორციელება √ √ √ √ √
შედეგების ანალიზი √
კვლევის ანგარიშის დაწერა
√
კვლევის ანგარიშის გაზიარება კოლეგებთან
√

რეფლექსია კვლევის შედეგების გაზიარები შესახებ

სსიპ ქ. ქარელის საჯარო სკოლის მე-3ბ კლასში ჩავატარე საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა :,,გაწაფული კითხვის უნარის გაუმჯობესება მე-3 კლასში“. კვლევა მიმდინარეობდა 2018-2019 სასწავლო წელს.

კვლევის დასაწყისში დავისახე რეალური მიზანი, რომლებიც იქნებოდა გაზომვადი და

მიღწევადი ,,გავარკვიო გაწაფული კითხვის უნარის განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემების მიზეზები, შევიმუშავო და განვახორციელო შესაბამისი ინტერვენციები რათა ხელი შევუწყო სწავლების ამ საფეხურზე კითხვის უნარის განვითარებას“.

გავეცანი ლიტერატურას, როგორც კვლევის წარმოების შესახებ, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.შევარჩიე ჩემთვის საჭირო და გამოსადეგი მეთოდები.ყველა მონაცემს თავს ვუყრიდი კვლევის დღიურში.

კვლევა მიმდინარეობდა რვა თვის მანძილზე, პროცესი საინტერესო და მოლოდინებით სავსე აღმოჩნდა,მონაცემების შეგროვების შემდეგ გავაანალიზე მიღებული შედეგები და დავგეგმე და განვახორციელე შესაბამისი ინტერვენციები. ბოლოს შევაფასე, თუ რა შედეგი მივიღე მოსწავლეთა სასარგებლოდ,მივაღწიე თუ არა დასახულ მიზანს.რადგან კვლევის შედეგები დადებითი აღმოჩნდა, საჭირო იყო, კვლევის პროცესში განხორციელებული ინტერვენციები სხვა მასწავლებლებისთვისაც გამეზიარებინა. გადავწყვიტე კვლევის ანგარიშის კოლეგებისთვის გაზიარება, რომელიც მოვახდინე დაწყებითი განათლების კათედრაზე. კოლეგებს პრეზენტაციის სახით გავაცანი კვლევის ყველა დეტალი.მათ ეძლეოდათ საშუალება დაესვათ დამაზუსტებელი კითხვები ბუნდოვან საკითხთან დაკავშირებით.

ჩემმა კვლევამ კოლეგებში მოწონება დაიმსახურა. მათ აღნიშნეს, რომ საკითხი მეტად აქტუალურია და სწორედ დაწყებით საფეხურზე უნდა მოხდეს მოსწავლის გაწაფულ მკითხველად ჩამოყალიბება, აღნიშნეს, რომ განხორციელებული ინტერვენციები ნამდვილად საჭირო და პროდუქტიულია, რომ აუცილებლად გაითვალისწინებენ რეკომენდაციებს კითხვის სწავლების პროცესში.

კოლეგებიგანაც მივიღე კონსტრუქციული უკუკავშირი, სადაც გამიზიარეს საკუთარი პრაქტიკის მეთოდები. კარგი იქნებოდა ეს მეთოდები ერთ-ერთ ინტერვენციად

3

გამომეყენებინა. უმჯობესი იქნებოდა ინტერვენციების განხორციელებისას მეთანამშრომლა კოლეგებთან.

კიდევ ერთხელ დავრწმუნდი,რომ საკითხი აქტუალურია და მეთოდები და სტრატეგიები ამოუწურავი. ის იყო ჩემს პედაგოგიურ პრაქტიკაში პირველად ჩატარებული კვლევა. ვფიქრობ მომავალში კვლევის წარმოებისას გავითვალისწინებ აღმოჩენილ ხარვეზებს და კვლევის ეტაპები უფრო სრულყოფილი და დახვეწილი იქნება.

მ. მოსიაშვილი

11.06.2019
ϭ.

3
4